საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №18

ქ.ლანჩხუთი **24.12.2018.**

სხდომას ესწრებოდნენ: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, კომისიის წევრები: გიორგი ჩახვაძე, ზურაბ კუკულავა, აკაკი იმნაიშვილი, ამირან გიგინეიშვილი და იოსებ ჩხაიძე.

სხდომას ასევე ესწრებოდა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის ხელმძღვანელი დავით წულაძე.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი თამაზ იმედაიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

/ მომხსენებელი: ა. მახათაძე /

2. სხვადასხვა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე-6, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ ალექსანდრე მახათაძემ. მან სხდომას წარუდგინა 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის კორექტირებული ვარიანტი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, **თამაზ იმედაიშვილმა** აღნიშნა, რომ 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის კორექტირებულ ვარიანტში დამატებით შეტანილი იქნა 100.0 ათასი ლარი შიდა გზების მოვლითი ღონისძიებების დასაფინანსებლად. ასევე გაიზარდა: ა(ა)იპ სპორტული ცენტრის დაფინანსება 10.0 ათასი ლარით, ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსება 17.8 ათასი ლარით, მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხარჯი 2.1 ათასი ლარით, სოც. კულტურული ღონისძიების (ახალგაზრდული) პროგარმის დაფინანსება 5.0 ათასი ლარით, სოციალური პროგრამა (საჩუქრების გადაცემა) 3.0 ათასი ლარით. დაკორექტირებული იქნა ხელფასის ფონდი 12 თვეზე გაანგარიშებით, ხოლო რაც შეეხება 13 თვეზე შრომის ანაზღაურების გაანგარიშებას, ამ ეტაპზე შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული. ასევე გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის 200.0 ათასი ლარით, ა(ა)იპ სპორტული ცენტრის 50.0 ათასი ლარით, ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის განვითარების, მეწარმეთა საქმიანობის ხელშეწყობის, ინვესტიციების და ტურიზმის ცენტრის 20.0 ათასი ლარით და ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების 31.0 ათასი ლარით დაფინანსების გაზრდის საკითხები ვერ განხორციელდა,

ვინაიდან აღნიშნულის დასაფინანსებლად შესაბამისი რესურსი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს არ აქვს. ამასთან, დამატებით იქნება შესწავლილი დაფინანსების მოთხოვნის რეალობა და აუცილებლობის შემთხვევაში თანხის მოძიების მიზნით წინადადებები წარდგენილი იქნება შესაბამის სტრუქტურებში.

დეპუტატმა **იოსებ ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის პირველი ვარიანტის განხილვისას მან გამოთქვა გარკვეული სახის შენიშვნები საკანალიზაციო და წყლის სისტემასთან, ასევე სოფლებში მზრუნველობამოკლებულ ბენეფიციარებისთვის საკვების მიეწოდებასთან დაკავშირებით, რაც არ იქნა გათვალისწინებული. მან ასევე აღნიშნა, რომ პრიორიტეტის დოკუმენტში ყველგან წერია სასმელი წყალი, როდესაც რეალურად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყველგან ტექნიკური წყალია. დეპუტატმა გამოთქვა უკმაყოფილება იმის თაობაზეც, რომ მერიას არაერთხელ მიმართა წერილობით მიეწოდებინათ მისთვის შპს "რეალექსპერტთან" დადებული ხელშკრელების ასლი გაცნობის მიზნით, მაგრამ აღნიშნულთან დაკავშირებით პასუხი ჯერაც არ მიუღია.

დეპუტატმა **ამირან გიგინეიშვილმა** გამოთქვა შენიშვნები როგორც პრიორიტეტის დოკუმენტის, ასევე 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის მიმართ და განაცხადა, რომ საკრებულომ და მერიამ ერთობლივად სპეციალისტებთან ერთად უნდა შეიმუშაონ სტრატეგიული განვითარების საშუალოვადიანი გეგმა და იმის მიხედვით უნდა მოხდეს ბიუჯეტზე მუშაობა.

დეპუტატმა **აკაკი იმნაიშვილმა** გამოთქვა უკმაყოფილება და აღნიშნა, რომ სოფელ შუხუთში მოხდა წყლის სისტემის მოწყობა რეაბილიტაცია, რომელიც არის უხარისხოდ გაკეთებული. მისი თქმით, უმჯობესია დაფინანსდეს ერთი კონკრეტული პროექტი და სამუშაოები იყოს შესრულებული ხარისხიანად.

კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ პრიორიტეტის დოკუმენტში არის გარკვეული ტიპის ხარვეზები და დასახვეწია. მან ასევე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შედის 16 ადმინისტრაციული ერთული. აქედან, ოთხი წლის განმავლობაში ყველა წელს მხოლოდ ოთხ ადმინისტრაციულ ერთეულში უნდა განხორციელდეს ინფრასტრუქტურული სამუშაოები და შესაბამისად შესრულებულიც იქნება უფრო ხარისხიანად.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვაძემ** გამოთქვა უკმაყოფილება იმის თაობაზე, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება ხდება არა საჭიროების მიხედვით, არამედ არსებული საშუალების მიხედვით და ამიტომ არის უხარისხოდ გაკეთებული პროექტები.

კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის პირველი ვარიანტის განხილვისას დაისვა საკითხი, იმის შესახებ, რომ ა(ა)იპ კეთილმოწყობის და მომსახურების ცენტრს ნორმალური ფუნქციონირებისთვის ესაჭიროება 200000 ლარის დამატება, რაც შენიშვნის სახით იყო დაფიქსირებული. ბიუჯეტის პროექტის კორექტირებულ ვარიანტში ვერ მოხერხდა აღნიშნული შენიშვნის გათვალისწინება. მან დააყენა წინადადება, რომ მერიამ იმუშაოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და საკურორტო სეზონის დაწყებამდე ნორმალური ფუნქციონირების მიზნით ა(ა)იპ კეთილმოწყობის და მომსახურების ცენტრის დაფინანსება გაიზარდოს 200000 ლარით, რასაც დაეთანხმნენ დეპუტატები.

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

მომხრე-4, წინააღმდეგი-2 (ამირან გიგინეიშვილი, იოსებ ჩხაიძე).

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: **ალექსანდრე მახათაძე**

ქ. ლანჩხუთი 24.12.2018წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №18

2018 წლის 24 დეკემბერს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

კომისიის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ დააყენა წინადადება, რომ მერიამ იმუშაოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და საკურორტო სეზონის დაწყებამდე ნორმალური ფუნქციონირების მიზნით ა(ა)იპ კეთილმოწყობის და მომსახურების ცენტრის დაფინანსება გაიზარდოს 200000 ლარით, რასაც დაეთანხმნენ დეპუტატები.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე : ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

24.12.2018 წელი
11:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	10 50	
2	თორნიკე ტიკაძე	[illegible]	
3	გიორგი ჩახვაძე	10 45	
4	დავით ჩხარტიშვილი	[illegible]	
5	ამირან გიგინეიშვილი	10 45	
6	იოსებ ჩხაიძე	10 57	
7	აკაკი იმნაიშვილი	11 00	
8	ზურაბ კუკულავა	10 00	